რომელმა მუსლიმმაც არ უნდა მიმართოს ალლაჰს თხოვნით, რომელშიც არ არის ცოდვა და რომელიც არ არღვევს ნათესაურ კავშირებს, ალლაჰი მას აუცილებლად სამიდან ერთ-ერთს უბოძებს: ან მას ამქვეყნად მიანიჭებს იმას, რასაც ის ითხოვს, ან მას ახირეთისთვის შეუნახავს, რათა იქ დააჯილდოვოს ამის სანაცვლოდ, ან მოაცილებს მისგან იგივეს ტოლფას ბოროტებას». საჰაბებმა ჰკითხეს: "მაშინ ჩვენ უფრო მეტს შეევედრებით ალლაჰს!" მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ალლაჰთან [ამასთან შედარებით] კიდევ უფრო მეტი არის

გადმოცემულია აბუ სა'იდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რომელმა მუსლიმმაც არ უნდა მიმართოს ალლაჰს თხოვნით, რომელშიც არ არის ცოდვა და რომელიც არ არღვევს ნათესაურ კავშირებს, ალლაჰი მას აუცილებლად სამიდან ერთ-ერთს უბოძებს: ან მას ამქვეყნად მიანიჭებს იმას, რასაც ის ითხოვს, ან მას ახირეთისთვის შეუნახავს, რათა იქ დააჯილდოვოს ამის სანაცვლოდ, ან მოაცილებს მისგან იგივეს ტოლფას ბოროტებას». საჰაბებმა ჰკითხეს: "მაშინ ჩვენ უფრო მეტს შეევედრებით ალლაჰს!" მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ალლაჰთან [ამასთან შედარებით] კიდევ უფრო მეტი არის».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აჰმადმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო: ჭეშმარიტად მუსლიმი როცა ევედრება ალლაჰს და სთხოვს მას რაიმეს, ეს თხოვნა კი ცოდვას არ მოიცავს, მაგალითად რომ შეევედროს ცოდვის ჩადენის და უსამართლობის გამარტივება, არ ევედრება ნათესაური კავშირების გაწყვეტას; მაგალითად, რომ დასწყევლოს მისი შვილები ან ახლო ნათესავები, გარდა ამ ორი შემთხვევისა ალლაჰი აუცილებლად უპასუხებს მის ვედრებას, სამიდან ერთ-ერთი ფორმით: ან უპასუხებს მის ვედრებას და მისცემს იმას, რაც სთხოვა. ან გადაუვადებს უზენაესი ალლაჰი განკითხვის დღეს და მისცემს საფასურს საფეხურების ამაღლებით, ან წყალობით, ან ცოდვების მიტევებით. ან ააშორებს თავიდან გაკეთებული ვედრების ტოლფას ამქვეყნიურ უბედურებას. საჰაბები შეეკითხნენ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): მაშ, ხშირად აღვავლინოთ ვედრება, რათა მოვიპოვოთ ამ წყალობათაგან ერთ-ერთი? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: რასაც ალლაჰი ფლობს უფრო მეტი და უფრო დიადია, ვიდრე თქვენი

სათხოვარი, მისი წყალობა უშრეტია და ამოუწურავი.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5100

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee